



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება



KA000088101428419

ქ. ლაგოდეხი

№ 4-ს

13 / თებერვალი / 2019 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოიყოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, „ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებიდან“ 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, რომელიც გამოყენებული იქნება ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების სადილით მომსახურებისათვის.


საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის - გიორგი მესხიშვილის 2019 წლის 13 თებერვლის №24-შ მოხსენებითი ბარათი.

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს, ბრძანების ფინანსური ნაწილის კონტროლი, წარმოდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტის ფარგლებში.

3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრულად 

კარლო ჯამბურია